

ვულკანური წიდის მოპოვება ოკამში

დავით გვარჯალაძე შპს „მერიდიანი 2006“ დირექტორია. შპს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამის მიმდებარე ტერიტორიაზე ვულკანური წარმოშობის წიდის („პემზა“) კარიერს ფლობს და ლიცენზიით თითქმის 400 ათასი კუბური მეტრი წიაღისეულის მოპოვების უფლება აქვს. კარიერი დაახლოებით 8 ჰექტარ ტერიტორიაზეა განთავსებული.

წიდა საამშენებლო ბლოკების დასამზადებლად გამოიყენება, რომელიც თბოიზოლაციის ბუნებრივი საშუალებაა. წიდას ხანძარსაწინააღმდეგო ეფექტიც აქვს, ამიტომაც სართულებს შორის ბეტონის საფარის ქვეშ ხშირად ათავსებენ. ხანძარსაწინააღმდეგო ეფექტის გარდა ხმის საიზოლაციო საუკეთესო საშუალებაა. როგორც კომპანიის წარმომადგენლები ამბობენ, ვულკანური წარმოშობის მიუხედავად, რადიაციის თვალსაზრისით, შესწავლილია და წიდა არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს. ბოლო პერიოდში „პემზა“ ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნადი ხდება. მათივე მტკიცებით, ოკამის კარიერზე მოპოვებული წიდა გაცილებით მსუბუქია, რაც განსაკუთრებით იმ დეველოპერულ კომპანიებში ქმნის მოთხოვნას, რომლებიც მაღლივ შენობებს აშენებენ.



პროექტის შედეგად დასაქმდა: 4 ადგილობრივი
პროექტის მთლიანი ბიუჯეტი: 174.050.00 ლარი
ევროკავშირის დაფინანსება: 103.147.38 ლარი
თანადაფინანსება: 70.902.62



„მერიდიანი 2006“ რეგიონში ერთ-ერთი მოწინავე და მძლავრი საწარმოა, თუმცა თანამედროვე სტანდარტები მუდმივ განახლებასა და განვითარებას მოითხოვს, რასაც დამატებითი ხარჯები მოჰყვება. კომპანიამ მონაწილეობა მიიღო საგრანტო კონკურსში და ევროკავშირისგან დაფინანსებაც მოიპოვა. „შევიძინეთ ბორბლებიანი განმტვირთველი, რამაც ძალიან შეგვიძლევს ყოველდღიური შრომა და წარმოების მოცულობაც გაორმაგდა. ჩვენ ძირითადად საველე პირობებში გვიწევს მუშაობა და გვჭირდება კეთილმოწყობილი სადგომი. გრანტის თანხით საველე-საოფისე კონტეინერიც შევიძინეთ და სათვალთვალო კამერებიც დავაყენეთ. ამ საკითხში ევროკავშირი არა მხოლოდ თანხით, არამედ საკუთარი გამოცდილებით და ექსპერტიზით დაგვეხმარა.





ელექტროენერგიის წყაროდ შემოგვთავაზეს მზის ელემენტები და ქარის გენერატორი, რომელიც ელექტროენერგიის მიწოდებას უზრუნველყოფს და გარემოზე მავნე ზემოქმედებას ამცირებს”, -ამბობს დავით გვარჯალაძე.

კომპანიის მხრიდან გარემოზე ზრუნვა ამით არ შემოიფარგლება. შპს ტერიტორიაზე განთავსდა სპეციალური ურნები, რომლებშიც ყოველდღიურად თავს იყრის სეპარირებული ნარჩენები.

“ჩვენ კომპანიას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ ცენტრალურ ბიუჯეტშიც. გარდა ამისა კომპანიას დასაქმებული ჰყავს 15 ადგილობრივი და მათი რიცხვი უახლოეს მომავალში კიდევ გაიზრდება. მადლობა მინდა გადავუხადო ევროკავშირს, GIPA, LAG. მათ დაინახეს ჩვენი კომპანიის შესაძლებლობები და მოგვცეს განვითარების საშუალება”, - განაცხადა კომპანიის დირექტორმა.

ინიციატივა დაფინანსებულია ევროკავშირის საქართველოში სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD)-სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხედვით ახალქალაქში პროექტის ფარგლებში.

პროექტს ახორციელებს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, სოფლის მეურნეობის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტი (DRDVE/GIPA). პროექტის პაჩგნიოხები აჩიან მეხსი ქოხფსი, ELVA საზოგადოებრივი ჩაჩტურობა და დასავდეთ კოჩკის განვითარების პაჩგნიოხობა.

ევროკავშირის მხარს უჭერს სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებას საქართველოში ENPARD-ის პროგრამის დახმარებით. პროგრამა ხორციელდება 2013 წლიდან საერთო ბიუჯეტით 179,5 მილიონი ევრო. ENPARD-ის ძირითადი მიზანი საქართველოში სოფლად სიღარიბის დაძლევაა. პროგრამის პიხვედი ფაზის პიოგეგეტი იყო სოფლის მეურნეობის განვითარების ხედვით, ხოლო მეოხე და მესამე ფაზა მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების გაზიდას. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.enpard.ge.